დავით ამირეჯიბი

David Amirejibi

ინტერპრეტაცია როგორც ტექსტის კინეზისი და ენტელექია [1]

Interpretation as the Kinesis and Entelékheia of the Text.

**„ქარები ჰქრიან სამხრეთისკენ და ბრუნდებიან ჩრდილოეთისკენ,
ყველაფერი უბრუნდება თავის წრეს“, - ეკლესიასტე (1.6.)**

**„ჩვენ ყველაზე მეტად მაშინ ვართ საკუთარ თავთან ახლოს,
როდესაც ვხდებით მოთამაშე ბავშვებივით სერიოზულები“, -
ჰერაკლიტე ეფესელი.**

კვლევის[1] მიზანს წარმოადგენს ტექსტის და ინტერპრეტაციის ბუნების *ჰერმენეფტიკული* (არისტოტელე), ჰოლისტური ანალიზის მცდელობა არისტოტელეს მიერ შემოტანილი კატეგორიების - *ენტელექია, ენერგია, კინეტიკა,* და ტემპორალობის შესახებ არისტოტელეს და ჰაიდეგერის შეხედულებების საფუძველზე.[4-5]

"*ენტელექია* არის დასრულებულის ყოფნა, ხოლო საქმის კეთება (*ენერგია*) - ყოფნაა მოქმედებაში (*კინეზისი*), და რადგან ენერგია ერგონიდან (მოქმედება, საქმიანობა, აქრივობა - დ.ა.) არის დასახელებული, ის ასევე ვრცელდება საბოლოო, სისრულეში მყოფი, დასრულებული ყოფნისკენ (*ენტელექია*)", - არისტოტელე (მეტაფიზიკა, 1050a 21-23)[2].

არისტოტელე, თავის ნაშრომში - „ფიზიკა“ (არისტოტელე, „ფიზიკა“, ტ.3, წიგნი III, თავი პირველი) გვაძლევს *კინეზისის* შემდეგ განმარტებებს, რომლებსაც უკავშირებს ენტელექიის და ენერგიის ცნებებს:

„რადგანაც, ყოველ სახეობაში ჩვენ ვარჩევთ ერთმანეთისგან არსებობას, - როგორც სინამდვილეს, და არსებობას, - როგორც შესაძლებლობას, *კინეზისი* არის სინამდვილე, არსებულისა შესაძლებლობაში“;

„შესაძლებლობაში არსებულის *ენტელექია*, როგორც ასეთი, არის *კინეზისი*“;

„მოძრაობა არის შესაძლებლობაში არსებულის, როგორც ასეთის, ენერგია“; „მოძრაობა არის შესაძლებლობაში არსებული *ენტელექიის* გამოვლინება, არა როგორც საკუთრივ თვისი (ენტელექიის, როგორც პოტენციის - დ.ა.), არამედ, როგორც მოძრაობის უნარის მქონეს“.

არისტოტელესთან, სიტყვებს *ენტელექია და ენერგია* აქვთ მსგავსი შინაარსი, რომელიც გამომდინარეობს ბერძნული სიტყვებიდან - *τέλος*, რაც ნიშნავს დასასრულს - მიზნის მიღწევას, და - *exein,* რაც ნიშნავს ყოფნას, უცვლელობას, მდგომარეობის შენარჩუნებას. არისტოტელეს ნეოლოგიზმები - *ენტელექია და*

ენერგია, შეიძლება ითარგმნონ როგორც - ყოფნა მუდმივ ცვლილებაში, ისე, რომ არ დაკარგო თავისთავადობა (Entelékheia as being-at-work-staying-itself).[10.]

კინეზისი, როგორც ენერგია და ენტელექია წარმოადგენს მოძრაობას მიზნისკენ *(telos),* სისრულისკენ.

ენტელექია საბოლოო მიზნისკენ მსწრაფი მოქმედებაა, *ხოლო ენერგია მოძრაობაა* განპირობებული ქვემიზნების სტრუქტურით.

არისტოტელესთან მოძრაობის კატეგორია უნივერსალურია. ის არქმევს კინეზისს ნებისმიერ ცვლილებას, იჩენს რა ის თავს, როგორც ბუნების მოვლენა, მატერიელური პროცესი, თუ - აზროვნება, თხრობა, კითხვა, და სხვა.

თუ ტექსტთან ურთიერთობას დავახასიათებთ, როგორც დროში და სივრცეში სიტყვების განფენის პროცესს, მათ კინეზისს, ენერგიას და ენტელექიას, მაშინ უნდა დავძინოთ, რომ ტექსტის, როგორც მთლიანობითი მოცემულობის წვდომის შესაძლებლობა უკავშირდება მოძრაობის რაობის, და როგორობის ინტერპრეტაციის თავისებურებებს.

ენა და მეტყველება მიგვანიშნებენ და წარმოაჩენენ შინაგან სამყაოში დაფარულ კოგნიტურ ხატებს, რომლებიც წარმოადგენენ ენის სიღმისეული სტრუქტურას (SRS), სადაც სიტყვები ასოცირდებიან აღქმის და წარმოსახვის (φαντασία) ვიზუალურ, აუდიალურ, გრძნობად და კინესთეტიკურ (მოძრაობის შეგრძნება), მოდალობებთან, სხეულის ნევროლოგიურ პატერნებთან. არისტოტელეს მიხედვით სული, როგორც პირველი ენტელექია მომცველია, როგორც ენის ხატოვანი არსის, ისე მისი ენერგიული, მომქმედი ბუნების.

ტექსტი სულიერი რეალობაა. არისტოტელე, სულს (*ψυχῆς,)* უწოდებს პირველ ენტელექიას, მამოძრავებელს - **„ფიქრს, დაკავშირებულს მატერიასთან *(λόγοι ἔνυλοι*)".**

სულიერი ატრიბუტების (ფიქრი, წარმოსახვა (*φαντασία*), სიტყვა..) მატერიასთან კავშირის *(λόγοι ἔνυλοι*) მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ანტიკური თეატრონი, როგორც საკრალური ტექსტების, მისტერიების, სცენაზე გაშლის, განფენის, ამოძრავების რიტუალური სივრცე.

თეატრის ბუნება სწორედ სიტყვისთვის სხეულის მიცემაა, ტექსტის დადგმა სცენაზე.

არისტოტელე იხილავს მოძრაობის ბუნებას თავის ნაშრომებში - „მეტაფიზიკა"; „ფიზიკა"; ენისა და ლოგიკის ბუნების შემეცნებისადმი მიძღვნილ ტრაქტატში - *„ინტერპრეტაციის შესახებ",* სადაც შემოჰყაქვს *ჰერმენეფტიკის* ცნება და ახასიათება მოძრაობის ექვს სახეობას, რომელებიც დაჰყავს 4 კატეგორიაზე.

არისტოტელეს თვალსაზრისით მოძრაობის ყველა ფორმა წარმოადგენს *ენტელექიის* და *ენერგიის* პოტენციის აქტუალიზაციას. *ენერგია და ენტელექია* სინონიმებია, რომელთა საშუალებითაც აღიწერება მოქმედება.

ენერგია მოქმედებაა, როგორც მუშაობა, კეთება, ქმნადობა;

ენტელექია - როგორც ბოლოში გასვლა, დაგვირგვინება, მიზნის მიღწევა.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ვინაიდან არისტოტელესთან მოძრაობა, *ენერგია* და *ენტელექია* უნივერსალური კატეგორიებია მათი გამოყენების

მცდელობა ტექსტის და ინტერპრეტაციის საკითხის ჰოლისტური ანალიზის თვალსაზრისით რელევენტურ ამოცანად მიგვაჩნია.

მოძრაობის არსის შესახებ არისტოტელეს სწავლების უნივერსალიზმის უპირატესობა მდგომარეობს ისეთი ბინარული ოპოზიციებს ინტეგრელური აღწერის შესაძლებლობაში, როგორებიცაა - დრო და სივრცე; აზროვნება და მოქმედება; სიტყვა და სხეული (ფსიქო-ფიზიკური დუალიზმი), და სხვა.

ჰაიდეგერი, თავის ესეში - „გზა ენისკენ“, საუბრობს არისტოტელეს შეხედულებაზე ენის შესახებ და დასძენს:

> „მეტყველებაში ენა თავს იჩენს, როგორც მეტყველების ორგანოების აქტივობა, ესენია: პირის ღრუ, ტუჩები, "სტომატოლოგიური ბარიერი", ენა, ხორხი. ის, რომ ენის ფენომენი, ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან აღიწერება უშუალოდ ამ ფიზიოლოგიურ ორგანოებთან კავშირში, თავს იჩენს მის სახელწოდებებში. დასავლურ ენებში, ენა არქმევს საკუთარ თავს, როგორც: γλῶσσα (გლოსა -ენა), ლინგვა (ენა). (ქართულში - „ენა“, - დ.ა.). ენა - არის „ენა“, რომელსაც გამოსცემენ ბაგეები“.

ავითარებს რა თავის მსჯელობას, ჰაიდეგერი იმოწმებს ციტატას არისტოტელეს ტრაქტატიდან - „ინტერპრეტაციის შესახებ“:

> „რაც (ხდება) ბგერების წარმოთქმისას, მიანიშნებს იმას, რასაც განიცდის სული (*Ψυχῆς*), ხოლო - რაც იწერება, მიუთითებს წარმოთქმულ ბგერებს. და როგორც ყველას არ აქვს ერთნაირი დამწერლობა, ასევე ბგერების წარმოთქმაც (არტიკულაცია - დ.ა.) არ არის ერთნაირი. მაგრამ უპირველესი, რასაც ისინი მიანიშნებენ (ხმები და დამწერლობა - დ.ა.) არის, ყველა ადამიანისთვის მსგავსი - მათი წარმომავლობა ფსიქიკური (*Ψυχῆς*) განცდის ხატიდან “.

არისტოტელე უკავშირებს ბრეგათა წარმოქმნას სულის (*Ψυχῆς*) მოქმედებას. ტრაქტატში - „სულის შესახებ (*Περὶ Ψυχῆς*)“ ის უწოდებს სულს პირველ ენტელექიას, რომელსაც აქვს განცდის (*αἴσθησις*) და აზროვნების უნარები. თავად უძრავი, ის წარმოადგენს ყოვლის მამოძრავებელ საწყისს და სიცოცხლის არსს.

განცდის უნარის (*αἴσθησις*) დახასიათებისას არისტოტელე მიუთიებს მის 5 თვისებას - შეხება (აგრეთვე, მოძრაობის შეგრძნება - *კინესტეტიკა* - დ.ა.), სუნი, სმენა, გემო და მხედველობა. შეგრძნებათა ამ მოდალობებს უკავშირდება ხატწარმოქმნის უნარი, რომელსაც თანამედროვე ნეირო-ფსიქოლოგია *კოგნიტურ ხატებს* უწოდებს.

პლატონისგან განსხვავებით, არისტოტელე *ენტელექიას* არ აშორებს სხეულს, მისთვის *ლოგოსი* არა ტრანსცედენტური სამყაროს მკვიდრია, არამედ სხეულის ორგანული შემადგენელი, სიცოცხლის არსი.

ენის *ენტელექიის* ბუნება მდგომარეობს სიტყვის მამოძრავებელ საწყისში - მეტყველების ფიზიოლოგიის ორგანიზებაში; საარტიკულაციო აპარატის ამოქმედებაში; ენისთვის, ენერგიული სხეულის მიცემაში (ჟესტი, მიმიკა,

მიხვრამოხვრა, მოძრაობის ენა , ცეკვა, პარა ენა..), სადაც ენა იძენს მოძრაობის იმპულსს, სიტყვა - სხეულს, და მგრძნობელობის უნარს.

საუბარია არა, ნეირო-მეცნიერებაში ცნობილ ფენომენზე, „სხეულის ენაზე", არამედ თავად ენის არსზე - განაწყოს, ამეტყველოს და გახდეს სხეული.

შეიძლება მეტის თქმაც - სხეული, როგორიც ის არის, არის ენა. სხეულის დაბადება, ზრდა და განვითარება ენის ენტექლექიის ერგონია!

იმის მაგალითად, თუ რაოდენ დიდია ენის გავლენა სხეულის ფიზიოლოგიურ კონსტიტუციაზე შეიძლება მოვიყვანოთ ქართველი ენეთმეცნიერის, ბატონი ზურაბ ჯაფარიძის ფუნდამენტური ნაშრომი - „პერცეპტული ფონეტიკის ძირითადი საკითხები (თბილისი, მეცნიერება,1975.263გვ.)". ნაშრომში, ჩვილი ბავშვების ტირილის ხმის ფონეტიკური ანალიზის შედეგად, ექსპერიმენტულად საბუთდება, რომ ადამიანის მეტყველების მოდალობა, არტიკულაციური აპარატის ფიზიოლოგია დაბადებიდანვე, გენეტიკურად მომზადებულია მშობლიურ ენაზე სამეტყველოდ, მისთვის დამახასიაებელი სპეციფიკური ბგერების გამოსათქმელად. ახალშობილი ბავშვის ტირილის ხმის ანალიზით შესაძლებელი ხდება მშობლების ენობრივი კუთვნილების დადგენა.

სხეული, დაბადებიდანვე შემზადებულია მეტყველებისთვის, სწორედ ის აძლევს ენას ენერგიას, სამყაროს აღქმისა და *კინეზისის* უნარებს.

გარემო ზემოქმედებაზე ორგანიზმის რეაქციის ხასიათი დამოკიდებულია არა გამღიზიანებლის ფიზიკურ მახასიათებელზე, არამედ მის მნიშვნელობაზე (უზნაძე, 1925; ბერიტაშვილი, 1932; პრიბრამი, მილერი, გალანტერი, 1960). ცოცხალი ორგანიზმი არსებობს და მოქმედებს სემანტიკურ ველში.

სიტყვათა *კინეზისის* მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ თეატრალური მოქმედება.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, თეატრის ბუნება ტექსტის სიღმისეული, ხატოვანი სტრუქტურის (SRS) გაშლაა სცენიურ დროში და სივრცეში. მისი ტრანსფორმაცია ხილულ, მოძრავ, ცხოველ სამყაროდ. სცენაზე გაშლილი თეატრალური მოქმედება წარმოადგენს ნიშანთა და სიმბოლურ მნიშვნელობათა სისტემას - ენას, გაშლილს სცენიურ მოქმედებაში - მოძრაობას (*kinesis*) ტექსტში [6].

თეატრში ყოველი ფიზიკური მოქმედება სცენაზე განპირობებლია არა მატერიალური მიზეზშედეგობრიობით, არამედ დრამატურგიული ტექსტის სემანტიკით, მისი ენერგიით და ენტელექიით (*λόγοι ἔνυλοι*). ტექსტის აღქმის პირობა მის მნიშვნელობათა სისტემაში მოძრაობაა.

როგორც კი სიტყვა იძენს სხეულს, და შლის თავის თავს თეატრალურ სცენაზე, დროში და სივრცეში, როგორც დრამატურგიული ტექსტი, დგება ტექსტის *ჰერმენეფტიკის* პრობლემა. ეს პრობლემა უკავშირდება არა მარტოოდენ სიტყვების მოსმენის და მათი ფიქსირებული, დადგენილი მნიშვნელობების ცოდნისა და ურთიერთდაკავშირების გრამატიკულ უნარ-ჩვევებს, არამედ სცენაზე მათი მოძრაობის დინამიკის განცდის და გააზრების უნარებს. ტექსტის წვდომის შესაძლებლობას მის სივრცობლივ და ტემპორალურ განზომილებაში.

ტექსტის *ჰერმენეფტიკის* პრობლემა არსებით კაშირშია დროსა და სივრცეში მისი დინამიკის აღქმისა და გააზრების საკითხთან, ტექსტის ჰოლისტური ინტერპრეტაციის ტემპორალურ ბუნებასთან, რომელიც აღიწერება *ჰერმენეფტიკული წრის მოდელის* საშუალებით.

ტექსტის ინტერპრეტაციას აქვს *ენტელექიით* განპირობებული ტემპორალური ბუნება, რომელიც უკავშირდება ტექსტის მნიშვნელობათა სისტემაში მოძრაობის *ჰერმენეფტიკულ სტრატეგიას.*

ტექსტის, თუ თეატრალური წარმოდგენის ყოველი, აქტუალური მომენტის მნიშვნელობის წვდომა საჭიროებს მის ინტერპრეტაციას - გააზრებას მთლიანობით ტემპორალურ კონტექსტში. არა მხოლოდ წარსულთან კავშირში, არამედ **მომავლის *ანტიციპაციის* საფუძველზე.**

ტექსტის ინტერპრეტაცია იშლება ინტეგრალური, ტემპორალური ანალიზის სამი მიმართულებით: - აქ და ამჟამად, აწმყოში მოცემული მომენტის განცდა, მისი მნიშვნელობის წვდომა -***ინტროსპექცია***; უკვე განვლილი გზის (წარსული) გადახედვა და გააზრება, ნარატივის ისტორიის შეკვრა, ენერგიების შეჯამება - ***რეტროსპექცია;*** მყოფადის მიზნობრივი სტრუქტურის კონსტრუირება *(ენტელექია) - **ანტიციპაცია - რეკონსტრუქცია.***

მოცემული მომენტის სემანტიკას განსაზღვრავს, არა მხოლოდ აქ და ამჟამად სიტუაციის განცდა, განვლილი გზის ანალიზი და მისი კავშირი აწმყოსთან, არამედ ტექსტის განვითარების ვექტორი მომავალში.

მომავლის ანტიცპაცია, *ჰერმენეფტიკური წრის* პატერნის უმთავრესი ელემენტია - ენერგია, რომელიც გვაძლევს ტექსტის აქტუალური მომენტის, და მისი წარსული ისტორიის ჰოლისტური ინტერპეტაციის შესაძლებლობას.

ასეთი ინტერპრეტაციის შედეგი მთლიანი ტექსტის *სემანტიკურ რეკონსტუქციაში* მდგომარეობს. ინტერპრეტაცია ზუსტდება ტექსტის განვითარებასთან ერთად და აღწევს სისრულეს მის ენტელექიაში, როგორც ენერგიების ჯამი.

***ჰერმენეფტიკული წრის* შიგნით, *ინტროსპექცია, რეტროსპექცია და ანტიციპაცია* კინეზისის ტიპის განმსაზღვრელი ვექტორებია, *ენერგიები,* რომლებიც განაპირობებენ მოცემული მომენტის ინტერპრეტაციის შესაძლებლობას გამომდინარე ტექსტის, როგორც მთლიანობითი *გეშტალტის,* ტემპორალური სტრუქტურიდან.**

ჰერმენეფტიკური წრის პატერნი ხასიათდება *კინეზისის* ურთიერთშემხვედრი ვექტორების დინამიზმით *(ჰერმენეფტიკული წრე)* - 1) ინტერპრეტაციის პროექციული, აღმავალი ვექტორი: ***რეტროსპექცია - ინრეტროსპექცია - პროექცია*** ;

2) ინტერპრეტაციის ანტიციპაციური, დაღმავალი ვექტორი: ***ანტიციპაცია - რეკონსტრუქცია.***

ტექსტთან ურთიერთობის პროცესში, აქ და ამჟამად ყოველი მომენტის მნიშვნელობის წვდომის აქტი წარმოადგენს ინტერპრეტაციის ორი ვექტორული ფუნქციის - *პროექციის* და *ანტიციპაციის სუპერპოზიციას*!

ეს შეიძლება წარმოვადგინოთ ფორმულის სახით, რომელიც გამოიყენება სუპერპოზიციის აღწერისთვის:

$$\Phi_3 = c_1 \Phi_1 + c_2 \Phi_2,$$

ინტერპრეტაცია მდგომარეობს ტექსტის აქტუალური კონტექსტის და მისი ისტორიის *<u>სემანტიკურ რეკონსტრუქციაში,</u>* რომელიც განისაზღვრება არა ტექსტის ფიქსირებული შინაარსის განვითარების ხასიათით (აღმავალი ვექტორი), მისი პროექციით მომავალზე, არამედ *ენტელექიით* - ტელეოლოგიური მიზანსწრაფვით (დაღმავალი ვექტორი), *<u>რეკონსრუქციის ენერგიით.</u>*

თუ, პირველი ვექტორის შესატყვისი მოძრაობა დისკრეტულობით და პარციალობით ხასიათთება - მეორე, დაღმავალი მოძრაობისთვის დამახასიათებელია მისი უწყვეტობა და სინთეტური ბუნება. ამის ხატოვენ მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ წიგნი, სადაც კინეზისი ფურცელ ფურცელ ვითარდება, განსხვავებით გაშლილი გრაგნილისგან, რომელსაც ვკითხულობთ უწვეტად.

***ინტერპრეტაცია* ხდება არა მხოლოდ მთელი ტექსტის გაცნობის შემდგომ, არამედ კითხვის ყველა ეტაპზე. ის ტექსტის *ჰერმენეფტიკის* საფუძველია, ტექსტთან ურთიერთობის უმთავრესი პირობა - მისი ენერგია, რომელიც განაპირობებს მოძრაობას.**

ინტერპრეტაცია წარმოადგენს „აქტიური სუბიექტის (უზნაზე)“ ტექსტთან ურთიერთობის პროცესის ორგანულ შემადგენელს, ტექსტის გაგების პირობას.

ინერპრეტაციის აქტთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც არსებობს ტექსტთან მიმართების *<u>დისოციაციური სტრატეგია</u>* - სიცხადე, რომ - „ეს ტექსტია“, რომელსაც მართავს ენტელექია („რბილი კანონი“ - ჰაიდეგერი), და არა მკაცრი მიზეზშედეგობრიობა, როგორც ეს ხდება ონტიურ სამყაროში, და ჰერმენეფტიკული წრის რღვევის დროს, სადაც პრევალირებს პროექციული ვექტორი, და წინ - მომავალში გვაქვს მხოლოდ წარსულის ხატი, ვმოძრაობთ მანკიერ წრეზე (circulus vitiosus). ასეთი წრის მაგალითებად შეიძლება მოვიტანოთ - „კომუნისტური ნათელი მომავლის“ იდეა (პროექციული ანტიციპაციის ვექტორი); ტოტალიტარულ სამყაროში იდეოლოგიური დატვირთვის მქონე ტექსტების ინტერპრეტაციის აკრძალვა; ხელოვნური ინტელექტის მოქმედების ბუნება..

რა როლი ენიჭება თეატრს, თუ კი ტექსტი თვითკმარი რეალობაა - მონადა? როგორ ხდება ტექსტის ამოძრავება სცენაზე, სიტყვათა რიგის ტრანსფორმაცია თეატრალურ მოქმედებად, სცენოგრაფიად, მსახიობის არტისტულ თამაშად?[6]

- სიტყვის ამოქმედების საფუძველი ენისა და სხეულის მთლიანობაა.

ენა და სხეული ერთმანეთისგან განუყოფელია. უსხეულოდ ენა უგრძნობია, ბრმა და ყრუ. სხეული უენოდ - უმოქმედო, მკვდარი.

ენა წარმოადგენს სიტყვისა და სხეულის მთლიანობას!

სხეულს ძალუძს ამოძრაოს სიტყვა. სხეულის მოქმედება სიტყვების განფენაა გარემოში, რომელიც შეიძლება აღიწეროს, როგორც *<u>სემიოზისის აქტი</u>* - ფიქრისა და სხეულის ერთიანობა*(λόγοι ἔνυλοι)*. როდესაც სხეული შეიგრძნობს და ამეტყველებს სიტყვებს, სძენს მათ მასას (სიმძიმე), მომქედების უნარს და ენერგიას.

არისტოტელესთან *ენტელექია* და *ენერგია* განსაზღვრავენ კინეზისს ტექსტის შიგნით. ვინაიდან ენა და სხეული განუყოფელია, სხეულის მდგომარეობა განპირობებულია თხრობის სემანტიკით. მოძრაობა ტექსტში განაპირობებს მოძრაობას სივრცეში. ამასთან ერთად, *ენტელექია* და *ენერგია* რჩებიან მუდმივ სიდიდეებად. ადგილი აქვს ტექსტის პოტენციური ენერგიის (*ენტელექია*) ტრანსფორმაციას სხეულის კინეტიკურ ენერგიად, ენერგიის მუდმივობის დაცულობის პირობებში.

ნებისმიერი ტექსტი მიისწრაფვის სხეულად შედგომისკენ, ამეტყველებისკენ, ამოძრავებისკენ - გრძნობებად, ემოციებად, ფერებად, ხმებად, შეგრძნებებად გაშლისა და განფენისკენ, რაც სხეულის ფუნქციაა, და ურომლისოდაც ენა მოკლებულია მგრძნობელობის და მოძრაობის უნარებს.

ტექსტის მთლიანობის საკითხი სცილდება საკუთრივ სიტყვის საზღვრებს, და მოიცავს სხეულს, როგორც ენის დაბადების, განფენის და ამოქმედების სივრცეს.

ინტერპრეტაცია, როგორც *ენტელექიით* განპირობებული *ანტიციპაციის აქტი* განსაზღვრავს ტექსტის დროით და სივრცობლივ განზომილებებში მოძრაობის მიმართულებას და ხასიათს.

ინტერპრეტაციის მექანიზმი ხასიათდება ტემპორალური ბუნებით, რომელსაც საფუძვლად უდევს *სემიოზისის აქტი* - სიტყვისა და სხეულის გამთლიანება. დრო და სივრცე წარმოადგენენ ტექსტის აღქმის აპრიორულ ფორმებს, სემანტიკურ ველს (მაგ.თეტრალური სცენა), სადაც ხორციელდება სიტყვის ტრანსფორმაცია სხეულად, *ენტელექიის - კინეზისად.*

<u>სემიოზისის აქტი</u> **- ტექსტის და სხეულის მთლიაპიროვნული მოდიფიკაცია (*განწყობა*) წარმოადგენს ტექსტის ინტერპრეტაციის პირობას. ამ აქტის შედეგია ტექსტის ტრანსფორმაცია აუდიალურ, ვიზუალურ, კინესთეტიკურ, გრძნობად, კოგნიტურ ხატებად - *<u>სიტყვათა სენსორულ კორელატებად.</u>* განწყობა, როგორც ენის შიდა ფორმა, წარმოადგენს ტექსტისა და მისი სხეულებრივი კორელატების მთლიანობით მოდიფიკაციას**[9].

ვერბალური, თუ არავერბალური ტექსტის (მაგალითად, მუსიკალური პარტიტურა, ქორეოგრაფია..) მთლიანობას განაპირობებს არა სიტყვათა, ბგერათა და სხვა ნიშანთა სისტემის (სანოტო პარტიტურა) სემანტიკური რიგი, როგორც ცალკე აღებული, არამედ *განწყობა*, როგორც „ენის შიდა ფორმა (ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტი, დიმიტრი უზნაზე)“. სხეულისა და სიტყვის მთლიანპიროვნული მოდიფიკაცია - ენა, რომელიც მეტყველებს არა მეტაფიზიკის, არამედ ფუნდამენტალური ონტოლოგიის (ყოფიერება) კატეგორიებით [7].

განწყობის ენა მდგომარეობათა ენაა, რომლის ნიშანთა სისტემა მიუთითებს (*deixis)* არა შინაარს, საგანს, ობიექტს.., არამედ სუბიექტის მთლიანპიროვნულ, დინამიკურ მდგომარეობებს - გრძნობა, განცდა, ემოცია.

ცნებები: - მთლიანობა, განწყობა, ყოფნა, *ენტელექია, ენერგია, კინეზისი..* არ აღიწერებიან სიტყვებით, რომლებიც მიანიშნებენ მხოლოდ ონტიურ რეალობას, არამედ - ნიშნებით, რომლებიც მიუთითებენ არა ხილულ, საგნობრივ შინაარსს, არამედ ფსიქო-ფიზიოლოგიურ, მთლიანპიროვნულ მდგომარეობებს, განწყობებს,

ყოფიერების ეგზისტენციალებს (da-sein), რომლებსაც შემოჰყავთ ყოფიერება სამყაროში („in der welt sein", - Heidegger).

ტექსტის ყოველი ელემენტის მნიშვნელობის აღქმა მთლიანობით ხასიათს ატარებს, და დამოკიდებულია ტექსტთან ურთიერთობის, მისი ინტერპრეტაციის ტემპორალურ სტრატეგიაზე.

თეატრის მსახიობი, განსხვავებით მაყურებლისგან ფლობს პიესის შინაარს მის მთლიანობაში. პიესის ყოველ, ცალკეულ ეპიზოდში მსახიობის სცენიური მოქმედება მთლიანობის ამ მოცემულობითაა ნაკარნახევი. ყოველი მისი სიტყვა, ჟესტი, თუ მიხრა-მოხრა ორგანულ კავშირშია წარმოდგენის, როგორც მთელის განვითარების ხასიათთან. როგორც წარსულ, ისე მომავალ ეპიზოდებთან, და მის დამასრულებელ აკორდთან - ფარდის დაშვებასთან (ფინალური დისოცოაციის აქტი). მსახიობისგან განსხვავებით, მაყურებლის მიერ წარმოდგენის ყოველი ცალკეული სცენის შინაარსის აღმა დამოკიდებულია სიუჟეტის მომავლი განვითარების ანტიციპაციის ხასიათზე.

მსახიობის ამოცანა სწორედ მაყურებლის ინტერპრეტაციის აქტის, მისი ანტიციპაციური სტრატეგიის მართვაა - ზრუნვა („Sorge" - Heidegger) მომავალ მთლიანობაზე („das Sich-vorveg-sein", - Heidegger).

როგორ ახერხებს ამას მსახიობი? - ცხადია, მის მიზანს არ შედგენს პიესის ყოველ, ცალკეული ეპიზოდში მთელი პიესის შინაარსის მოყოლა. არტისტული ხელოვნება მდგომარეობს არა მარტოოდენ დრამატურგიული ტექსტის სცენაზე გახმოვანებაში, არა მხოლოდ იმაში, თუ *რას*, არამედ - *როგორ* ახმოვანებს და მოქმედებს მსახიობი. თუ, როგორ ფლობს ის პარალინგვისტურ შესაძლებლობებს - ინტონაცია, სხეულის პლასტიკა, მიმიკა, ჟესტიკულაცია, მიხრა-მოხრა.. თეატრის ბუნება ხომ სწორედ, დროში და სივრცეში ტექსტის გაშლა და ამოძრავებაა. **თეატრალური ხელოვნების არსი მდგომარეობს *სემიოზის აქტში,* რომელიც ხორციელდება სცენაზე.**

მთლიანი ტექსტის და მისი სცენიური დადგმის *ენტელექია* და *ენერგია*, რომლებიც განაპირობებენ მსახიობის მოქმედებას სცენაზე, დადგმის ყოველ, ცალკეულ ეპიზოდში, წარმოადგენენ არა ონტიურ მოცემულობას, არა მხოლოდ ცნობიერ შიანაარსს, არამედ ტექსტისა და სხეულის მთლიანობით პატერნს - *განწყობას*, რომელიც მდგომარეობს ორგანიზმის მთლიანობით, ფორმალურ-სტრუქტურულ, დინამიკურ მოდიფიკაციაში - „ყოფნა მუდმივ ცვლილებაში, ისე, რომ არ დაკარგო თავისთავადობა *(თვითონობა)*", - არისტოტელე[9] (იხილეთ ზემოთ).

არტისტული ხელოვნება განწყობით მეტყველების უნარია, წარმოდგენის ყოველ აქტში ტექსტის სხეულთან და მოქმედებასთან განწყობით გამთლიანების ოსტატობა.

წრეზე მოძრავი საბაშვო რკინიგზა ბავშვის საყვარელი სათამაშოა. მას შეუძლია წარმოიდგინოს - თითქოს იმყოფება მის ვაგონში და მოგზაურობს მასთან ერთად. ან, ხელთ უპყრია მატარებლის საჭე და მართავს მთელ შემადგენლობას. საბავშვო მატარებლის მოძრაობის მიმართულება, მისი სიჩქარე, მოგზაურობის

ხანგრძლიობა და დანიშნულება არა სათამაშოს, არამედ მოთამაშე ბავშვის სამყაროს კუთვნილებაა. სათამაშო მატარებელს ამოძრავებს ელექტრო ენერგია, და მისი მოძრაობის ხასიათი განპირობებულია ლიანდაგის წრიული განლაგებით. *ენეტელექია* კი ის შინაგანი ენერგიაა, რომელიც განაპირობებს ბავშვის, როგორც აქტიური სუბიექტის ჩართულობას და მოქმედების ხასიათს, თამაშში.

ანტიკურ თეატრალურ ქმედებაში მომავლის ანტიციპაციას ენიჭება პროფეტიკული მნიშვნელობა. ანტიკური ამფითეატრის (ნახევარწრე) სცენა აერთიანებს, და ამთლიანებს თატრონის წრის გეშტალტის ხილულ და უხილავ მხარეებს - მიწიერს და ზეციურს, აწმყოს, წარსულს და მომავალს. ენის ბუნება სიტყვისა და სხეულის გამთლიანება, ამეტყველება და ამოძრავებაა. [5-7-8]

წიგნის კითხვისას, კონკრეტული ადგილის გაგება საჭიროებს წინა გვერდების გახსენებას, მაგრამ მისი ნამდვილი მნიშვნელობა მხოლოდ წიგნის ბოლო გვერდის წაკითხვის შემდეგ ცხადდება.

<u>წყაროები:</u>

1.დავით ამირეჯიბი. 2024. „ინტერპრეტაცია როგორც ტექსტის ენტელექია და კინეზისი“, მოხსენების ტექსტი წაკითხული თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის კონფერენციაზე - „ტექსტი და ინტერპრეტაცია, #2 (3.06.24)“.
გადაცემულია რედაქციაში - 01.05.24.
2.არისტოტელე.(1964). მეტაფიზიკა. თბილისი 1964.
3.არისტოტელე.(2001). სულის შესახებ. თბილისი 2001.
4. დავით ამირეჯიბი. (2023). „მთლიანობის ქმნადობა“. სდასუ, ლექცია. David Amirejibi's School of Applied Psychology in YouTube. https://www.youtube.com/watch?v=D9JR3BkxRAQ
5.დავით ამირეჯიბი, 2023. „მთლიანობის ქმნადობის სივრცეები - აკადემია, უნივერსიტეტი, თეატრი“, მოხსენება კონფერენციაზე - „კონსტანტობა და კონტექსტი (27.10.23)“, საქართველოს კულტურის სამინისტრო, ჩუბინაშვილის ცენტრი. მოხსენების ვიდეო ჩანაწერი და სტატია სამეცნიერო ჟურნალში - ARS GEORGIA:
https://new.georgianart.ge/magazine/2023(I%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98)/56 (*https://www.youtube.com/watch?v=ijXDfDED-8o)*
6.დავით ამირეჯიბი, (2013) „მედიტაციის ენა ფსიქოთერაპიაში“. საჯარო ლექცია ილიაუნიში. David Amirejibis School of Applied Psychology, YouTube
https://www.youtube.com/watch?v=tAP8bfw1_Q4
7.დავით ამირეჯიბი, 2022. „ორნამენტის ბუნების კვლევა ფუნდამენტური ონტოლოგიისა და განწყობის თეორიის თვალსაზრისით“. საქართველოს კუტურის სამინისტრო, ჩუბინაშვილის ცენტრი. კონფერენციის დასახელება - „ორნამენტი და კულტურა (30.05.2022)“. სტატია სამეცნიერო ჟურნალში - ARS GEORGIA.
https://new.georgianart.ge/magazine/2022%20(I%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98)/9
8. დავით ამირეჯიბი, 2023. „შექსპირის „ჰამლეტში' „სათგურის“ სცენის ანალიზი ფსიქოსინთეზის თვალსაზრისით“, „ტექსტი და ინტერპრეტაცია" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის რეცენზირებადი, ელექტრონული, ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი (ISSN 2960-9461).
https://interpretation.tsu.ge/index.php/main/article/view/2
https://interpretation.tsu.ge/index.php/main/article/view/2/2
9.დავით ამირეჯიბი, 2014. "განწყობის ანთროპოლოგია და TOTE მოდელი", საჯარო ლექცია, ახალგაზრდული მოძრაობა დავითიანის დაკვეთით.https://youtu.be/iTyR_qGti08?si=rXqI4EhgNh1bQs9T
10.Joe Sachs. Aristotle: Movement. Internet Encyclopedia of Philosophy. https://iep.utm.edu/aristotle-motion/